ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01210323247**
თარიღი: **01/02/2021**
პინი: **3561**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2021 წლის 22 იანვრის #60-01210222341 წერილი და AR1784665 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ლელა გურგენიძის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, **ააიპ ,,საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის"** საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-4 მკ/რ #102 საჯარო სკოლის მიმდებარედ ს.კ. #01.14.16.008.031) (რზ-2) II კლასის დამხმარე ტექნიკური შენობის და სპორტული მოედნების არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (გამწვანების პროექტი), 2016 წელს გაცემული გრგ-სა და სპეციალური ზონალური შეთანხმების მიხედვით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, პროექტით გათვალისწინებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ფუნქციის მქონე კომპლექსის მშენებლობა. ვინაიდან, სპეციფიკის გათვალისწინებით, სპორტული მოედნების გარშემო არ არის რეკომენდირებული დიდტანოვანი მერქნიანი მცენარეების გაშენება, **სამსახური თანახმაა გამწვანების კოეფიციენტის კ3 (6400 კვ.მ) ათვისება მოხდეს რულონური ბალახის საფარით.**

აქვე გაცნობებთ, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ტერიტორიის გარე პერიმეტრი გამწვანდეს მერქნიანი მცენარეებით.

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან). ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი, ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი